პროექტი – “მეტი აქტიურად ჩართული ქალი საარჩევნო პროცესებში – მეტი შედეგი ადგილობრივი დემოკრატიის მშენებლობაში”

პროექტს განმახორციელებელი ორგანიზაცია:

„სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდა ქალ ექსპერტთა ქსელი მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“

პროექტი დაფინანსებულია "საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ“

young women experts for peace and security

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

პროექტის მიზანი:

პროექტის მიზანს წარმოადგენდა მაღალმთიან რეგიონში, კერძოდ, მცხეთა-მთიანეთში მცხოვრებ ქალთა, მათ შორის ახალგაზრდა გოგონათა, საარჩევნო პროცესებში ჩართულობის მოტივაციის გაზრდა და ცნობიერების ამაღლება საარჩევნო პროცესში გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მნიშვნელობის თაობაზე, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მონაწილეობითი დემოკრატიის დამკვიდრებას ქვეყნაში.

- **პროექტის ხანგრძლივობა:** 2015 წლის 15 ივნისი – 15 დეკემბერი
- **გეოგრაფიული დაფარვის არეალი**: დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის რაიონი
- **პროექტის სამიზნე ჯგუფები:** დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონში მცხოვრები ქალბატონები და ახალგაზრდა გოგონები.

პროექტის ამოცანებია:

- **ამოცანა I** – დუშეთში, ყაზბეგსა და თიანეთში ქალთა და ახალგაზრდა გოგონათა ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიის მეშვეობით, ტრეინინგ-სემინარების, შეხვედრების და დისკუსიების, ასევე სპეციალური რადიო პროექტის (რადიო გადაცემათა ციკლი) განხორციელების მეშვეობით;

- **ამოცანა II** – დუშეთში, ყაზბეგსა და თიანეთში, სამოქალაქო სექტორში ქალთა გააქტიურება არსებული ქალთა ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდის და/ან ახალი ქალთა ორგანიზაციების შექმნის გზით, რომლებიც უშუალოდ იმუშავებენ რეგიონში ქალთა პოლიტიკურად გააქტიურებაზე და მათი მონაწილეობის სტიმულირებაზე არჩევნებში და არჩევნებს მიღმაც, რათა ქალთა და მამაკაცთა უფლებებისა და შესაძლებლობების თანაბარი, ეფექტიანი განხორციელება მოხდეს როგორც საარჩევნო პროცესში, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ყველა ეტაპზე.

პროექტის განხორციელება:

1.მოსამზადებელი ფაზა/ადმინისტრაციული საკითხები:

- მოხდა თანამშრომლების რეკრუტირება, კონტრაქტების გაფორმება; შესყიდვების განხორციელება; სამუშო დაგეგმვისთვის განხორციელდა შეხვედრა-კონსულტაციები პროექტის თანამშრომლებთან, კონსულტანტებთან, პროექტის პარტნიორ ორგანიზაციებთან, მედიის წარმომადგენლებთან;

2. ლექცია-დისკუსიების და ტრეინინგების დაგეგმვა და მასალების მომზადება:

- ლექცია-დისკუსიების და ტრეინიგების სამიზნე ჯგუფების შესარჩევად შემუშავდა მეთოდოლოგია და შეირჩა ტრეინიგებზე დამსწრე კონტინგენტი; დაიგეგმა დუშეთში, ყაზბესა და თიანეთში გასვლის თარიღები და მოხდა შეხვედრის დროის და ადგილების იდენტიფიცირება, გაკეთდა მონიტორინგის გეგმა და გადაიგზავნა ცენტრში.
- მომზადდა ტრეინინგების მასალები შესაბამისი თემატიკის მიხედვით, პრეზენტაციები, სხვადასხვა ფორმები, საინფორმაციო ფლაერები და ა.შ. შემუშავდა დღის წესრიგი ლექცია-დისკუსიებისთვის (1 დღე) და ტრენინგებისთვის (3 დღე); წასაკითხი მასალები და ა.შ.

3. ლექცია დისკუსიები და ტრენინგები:

- შეხვედრა-დისკუსიები შეეხო ქალთა უფლებებს, გენდერული თანასწორობის საკითხებს, არჩევნებს და ქალთა პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებს.

- სამდღიანი ტრენინგ-სემინარი კი შეეხებოდა ინსტიტუციური მშენებლობის საკითხებს: როგორ შევქმნათ არასამთავრობო ორგანიზაცია, როგორ ვმართოთ ის; რა არის პროექტი და პროექტის მართვის ციკლი; როგორ უნდა დავწეროთ საპროექტო წინადადება, როგორ ვმართოთ პროექტი, როგორ დავგეგმოთ ბიუჯეტი და როგორ ვმართოთ ჰუმანური რესურსები.

- ტრენინგებზე ასევე უფრო ფართოდ იქნა განხილული საერთაშორისო და ეროვნული დოკუმენტები და კანონები, რომლებიც ხელს უწყობს ქალთა პოლიტიკურ გააქტიურებას.

4. ლექცია-დისკუსიები: თიანეთი,13-14 ივლისი, 39 მონაწილე

4. ლექცია-დისკუსიები: დუშეთი, 22-23 ივლისი, 41 მონაწილე

4. ლექცია-დისკუსიები: ყაზბეგის რაიონი, 29-30 ივლისი, 22 მონაწილე

4. ტრეინინგები: ყაზბეგის რ-ნი, 31 ივლისი, 1-2აგვისტო, 13 მონაწილე

4. ტრეინინგები: თიანეთი, 26-27 სექტემბერი, 3 ოქტომბერი, 13 მონაწილე



4. ტრეინინგები: დუშეთი, 17-18 და 25 ოქტომბერი, 9 მონაწილე



დუშეთი, 1 ნოემბერი; თიანეთი, 10 ნოემბერი

სემინარი და პროექტის ფარგლებში შექმნილი წიგნის – „დემოკრატია, ქალი და არჩევნები“, პრეზენტაცია, სერთიფიკატების გადაცემა

WE
YPS

პროექტის ფარგლებში შეიქმნა ორი ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია:

- თიანეთის ქალთა საინიციატივო ჯგუფმა 2015 წლის 4 დეკემბერს თიანეთის ახალგახსნილ იუსტიციის სახლში (ორგანიზაციის პირველი რეგისტრაციის შემთხვევა ახალ იუსტიციის სახლში) ოფიციალურად დარეგისტრირდა ახალი ადგილობრივი ქალთა ორგანიზაცია სახელწოდებით „სანი“;

- დუშეთის ქალთა საინიციატივო ჯგუფმა 2015 წლის 3 დეკემბერს ოფიციალურად დააფუძნა და დაარეგისტრირა თბილისში, იუსტიციის სახლში „დუშეთის ახალგაზრდა მთიელ გოგონათა ორგანიზაცია“.

საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია

რადიო გადაცემათა ციკლი – „მთის ქალის ისტორია“

რადიო ''პალიტრაზე'' FM 103.9-ზე ათი 30 წუთიანი რადიოგადაცემა, რომელიც გადიოდა ეთერში ყოველ ხუთშაბათს 16:10 წუთზე, პირველ კვირას ორიგინალი გადაცემა, მეორე კვირას კი -განმეორებით.

<u>თემატიკა:</u>

1. არასამთავრობო ორგანიზაციების როლი მთიან რეგიონში ქალთა გააქტიურების მიმართულებით
2. მთის ქალის როლი პოლიტიკაში, პოლიტიკოსი ქალის როლი მთის ცხოვრებაში;
3. ''მთის კანონი''
4. ახალგაზრდა გოგონების აქტივობა მთაში, განათლება, პრობლემები და მიზნები
5. მიგრაცია და მისი გამომწვევი მიზეზები მთაში, მიგრაცია და ქალთა საკითხები
6. ქალი და ბიზნესი; ქალების ბიზნესწამოწყების წახალისება მთაში
7. ქალი, კულტურა და ტრადიციები მთაში
8. ქალი და ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურეობის პროექტები მთაში
9. ქალი და არჩევნები, გენდერული თანასწორობა
10. მთის ქალი და ხელოვნება.

რადიო გადაცემა –''მთის ქალის ისტორია''

საინფორმაციო უზრუნველყოფა

- განხორციელდა პროექტის საინფორმაციო უზრუნველყოფა ორგანიზაციის ბლოგზე ინგლისურ ენაზე, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ყავს მრავალი ვიზიტორი http://youngwomenexperts.blogspot.com/
- პროქტის დაწყების და მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია განთავსდა თიანეთის და დუშეთის მუნიციპალიტეტების ვებგვერდზე და Facebook გვერდზე http://tianeti.org.ge/?l=G&m=11&id=323; http://dusheti.org.ge/?l=G&m=11&st=0&id=537; https://www.facebook.com/media/set/?set=a.826618030791169.1073742111.507814509338191&type=3&uploaded=6
- თიანეთის ადგილობრივმა გაზეთმა დამოუკიდებლად გააშუქა პროექტის ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებები

სპეციალური ბროშურის გამოცემა

მომზადდა სპეციალური ბროშურა ქალთა უფლებებზე და პოლიტიკურ მონაწილეობაზე – „დემოკრატია, ქალი და არჩევნები''



მიღწეული შედეგები:

- ჩატარებულ ლექცია-დისკუსიებში, სემინარებსა და ტრენინგებში დაგეგმილზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. სულ რეგისტრაცია გაიარა 137-მა ადამიანმა, ბოლო ღონისძიებებზე კი დუშეთსა და თიანეთში აუდიტორია გაცილებით მეტ დამსწრეს მოიცავდა; გაიზარდა მათი ინფორმირებულობა და ცოდნის დონე ქალთა უფლებებისა და თავისუფლებების, ქალთა მონაწილეობის და გენდერული თანასწორობის შესახებ, ასევე ქალების პოლიტიკური, სამოქალაქო და საარჩევნო უფლებების შესახებ;

- დუშეთსა და თიანეთში, სადაც არ არსებობდა ქალთა ორგანიზაციები, პირველად შეიქმნა ასეთი ორგანიზაციები, რომლებიც მოტივირებული და აქტიური ახალგაზრდა გოგონებით და ქალებით არიან დაკომპლექტებული;

- განხორციელებული საგანმანათლებლო და მედია-კამპანიებით, რომელთა დაფარვის არეალი სცილდება მოცემულ რეგიონს, ამაღლდა არა მარტო რეგიონის ქალთა და ახალგაზრდა გოგონათა სამოქალაქო და საარჩევნო ცნობიერება, არამედ რეგიონში და საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების ცნობიერება ქალთა სამოქალაქო, პოლიტიკურ და საარჩევნო უფლებების თემებზე.

გმადლობთ ყურადღებისთვის!!